EAST EUROPEAN UNIVERSITY

EEU

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია 2026-2032

EEU

1. ზოგადი დებულებები

სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია (შემდგომში - „**სტრატეგია**“) ეფუძნება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - „**უნივერსიტეტი**“) მისიას, ძირითად ღირებულებებს და განსაზღვრავს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

სტრატეგიის შემუშავების **სამართლებრივი საფუძვლებია:**

- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული გეგმა.

წინამდებარე სტრატეგია მიზნად ისახავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას.

2. სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია

სტრატეგიის განვითარების გეგმის ფორმირების პროცესში უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ინსტიტუციური ეფექტიანობისა და ხარისხის შიდა და გარე შეფასებების შედეგები, უნივერსიტეტის საქმიანობისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი ძირითადი ეროვნული და საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნები, აგრეთვე, შესწავლილი იქნა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება შესაბამისი საერთაშორისო კონტექსტის გასათვალისწინებლად.

სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების საწყის ეტაპზე განხორციელდა ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების იდენტიფიცირება, რომლებიც ეფუძნებოდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისიას, ძირითად ღირებულებებს და უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით პრიორიტეტებს;

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის შეფასების შედეგად განხორციელდა SWOT ანალიზი.

სტრატეგიაზე მომუშავე სამეცნიერო კვლევების განვითარების ჯგუფმა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის პირობებში ჩამოაყალიბა ძირითადი სტრატეგიულ პრიორიტეტები და ამოცანები. ამოცანების ფარგლებში განისაზღვრა აქტივობები და შესრულების ძირითადი ინდიკატორები/კრიტერიუმები.

სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმის შესაბამისი აქტივობები და ვადები განისაზღვრება კვლევის მიმართულებებით ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მისია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის **მისიას** წარმოადგენს უნივერსიტეტის როგორც კვლევებზე ორიენტირებული ინსტიტუციის ჩამოყალიბება, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების შესაბამის კვლევებს, უზრუნველყოფს კვლევითი პოტენციალის განვითარებასა და კვლევის შედეგების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირებას კვლევითი საქმიანობის წახალისების, მხარდაჭერისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გზით.

4. ჩვენი ხედვა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი საერთაშორისო დონეზე აღიარებული იქნას, როგორც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებული და კვლევაზე ორიენტირებული ინსტიტუცია, რისთვისაც:

- ახალისებს აკადემიურ პერსონალს, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევარებს, ახალი ცოდნისა და მაღალი ხარისხის სამეცნიერო პუბლიკაციების შექმნისთვის, აგრეთვე მხარს უჭერს მათ კვლევითი პოტენციალის განვითარებას;
- ავითარებს კვლევითი ეთიკის კულტურას და ხელს უწყობს ფუნდამენტური, გამოყენებითი და ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებას;
- ახორციელებს კვლევის შედეგების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში;
- უზრუნველყოფს სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოპულარიზაციას და მათ ჩართულობას;
- თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან კვლევითი პროექტების განხორცილების მიზნით;
- უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით მიღებული შედეგების გამოყენებას;
- ოპტიმალურად და ეფექტიანად იყენებს ინტელექტუალურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს ხარისხიანი კვლევების გასავითარებლად.

5. ღირებულებები, რომლებსაც ჩვენი კვლევა ეფუძნება:

- **ჩართულობა (ინკლუზიურობა)** - ჩვენი კვლევა ორიენტირებულია საზოგადოებრივ პრობლემებზე და ითვალისწინებს მათს ინტერესებს. კვლევას ვახორციელებთ პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით და საზოგადოებასთან აქტიური ურთიერთქმედებით, მიუხედავად მათი ეთნიკური, რელიგიური, სოციალური და კულტურული მრავალფეროვნებისა. ჩვენთვის ,,კვლევის სუბიექტები" კვლევის პარტნიორები არიან.
- **თანასწორობა** - ჩვენი კვლევითი საქმიანობა თანასწორობის პრინციპისადმი ურყევი ერთგულებითაა განმსჭვალული, რითაც უზრუნველვყოფთ კვლევების განხორციელების პროცესში მონაწილეთა სრულფასოვან სუბიექტებად (პარტნიორებად) ჩართულობას და აკადემიური მიუკერძოებლობის შენარჩუნებას.
- **ინოვაციურობა** - ჩვენი კვლევა ახალი ცოდნის შექმნასა და მის გავრცელებაზეა ორიენტირებული. მეცნიერული სიახლეების დანერგვით ხელს ვუწყობთ საზოგადოების სოციალურ-კულტურულ პროგრესს.
- **აკადემიური თავისუფლება** - კვლევას ახორციელებენ მკვლევრები, რომლებიც თავად განსაზღვრავენ კვლევის მიზნებსა და ამოცანებს. აკადემიური თავისუფლების პრინციპისადმი მტკიცე ერთგულებით გამოვხატავთ იმ მთავარი ღირებულებისადმი პატივისცემას, რომელიც საუნივერსიტეტო ცხოვრების თანამგზავრია.
- **სარგებლიანობა** - ჩვენი კვლევა ორიენტირებულია ისეთ შედეგებზე, რომლებიც სასარგებლო იქნება ფართო საზოგადოებისათვის, მათ შორის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, პერსონალისთვის და ხელს შეუწყობს მათ მდგრად განვითარებას.
- **კეთილსინდისიერება** - ჩვენი კვლევა კეთილსინდისიერების პრინციპების განუხრელ დაცვას ეფუძნება. საკვანძო მნიშვნელობას ვანიჭებთ საუნივერსიტეტო კვლევების ეთიკური სტანდარტების დაცვით განხორციელებას, კვლევის ეთიკის ფუნდამენტური პრინციპების განვითარებასა და განმტკიცებას.
- **თანამშრომლობა** - ჩვენი პრიორიტეტია კვლევები განვახორციელოთ ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუციებთან და გამოცდილ მკვლევარებთან პარტნიორობით ჩვენ ორიენტირებულნი ვართ გამორჩეული ხარისხის მქონე მეცნიერული პროდუქციის შექმნაზე.

6. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ძირითადი ტენდენციები (სტატისტიკური ანალიზი)

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა 2021–2025 წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა და მნიშვნელოვან პოზიტიურ დინამიკას ავლენს. Scopus-ის მონაცემთა ბაზაში ინდექსირებული პუბლიკაციების საერთო რაოდენობამ, რომელთა ავტორი 27 მკვლევარია, 81-ს მიაღწია — მაჩვენებელი, რომელიც ცხადყოფს უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის თანმიმდევრულ ზრდას აღნიშნულ პერიოდში.

ეს ზრდა განსაკუთრებით საინტერესოა იმ ფონზე, რომ უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობა არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივადაც ვითარდება — რაზეც მეტყველებს აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა. კონკრეტულად, განხორციელებულია 26 საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტი, რომელიც 13 სხვადასხვა ქვეყნის პარტნიორ ინსტიტუციებთან ერთობლივი კვლევითი საქმიანობის შედეგად განხორციელდა. ეს მაჩვენებელი ადასტურებს, რომ უნივერსიტეტმა შეძლო არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია და მდგრადი აკადემიური კავშირების ჩამოყალიბება ევროპის, ცენტრალური აზიისა და სხვა რეგიონების წამყვან საგანმანათლებლო და კვლევით ინსტიტუციებთან.

გამოსახულება 1. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ზოგადი ტენდენცია SCOPUS-ის ბაზების მიხედვით

წყარო: Scopus: https://www.scopus.com/pages/organization/60268212#

აღსანიშნავია, რომ პუბლიკაციათა თემატური სპექტრი მრავალფეროვანია, თუმცა ყველაზე მეტად წარმოდგენილია სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებები — კერძოდ, ბიზნესის, მენეჯმენტისა და ეკონომიკის სფეროები, რაც ასახავს უნივერსიტეტის აკადემიურ პროფილსა და პრიორიტეტულ კვლევით ინტერესებს.

დიაგრამა 1. პუბლიკაციების საგნობრივი განაწილება



წყარო: Scopus: https://www.scopus.com/pages/organization/60268212#

ამასთანავე, თანამშრომლობის გეოგრაფიული მასშტაბი და პარტნიორ ქვეყანათა მრავალფეროვნება მეტყველებს იმაზე, რომ უნივერსიტეტის კვლევითი პოლიტიკა თანმიმდევრულად ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციასა და გლობალურ სამეცნიერო ინტეგრაციაზე. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საერთაშორისო და ინსტიტუციური თანამშრომლობა წარმოადგენს მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო მაჩვენებელს, რომელიც ასახავს უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხარისხს გლობალურ აკადემიურ სივრცეში. Scopus-ის მონაცემების თანახმად, უნივერსიტეტს თანამშრომლობითი კავშირები აქვს 62 სხვადასხვა ინსტიტუციასთან, რომელთა ფარგლებშიც განხორციელებულია ჯამში 103 ერთობლივი სამეცნიერო აქტივობა. ეს მაჩვენებელი მეტყველებს არა მხოლოდ თანამშრომლობის ფართო გეოგრაფიულ არეალზე, არამედ უნივერსიტეტის მზაობაზე, ჩაერთოს მრავალფეროვან და გეოგრაფიულად დივერსიფიცირებულ კვლევით ინიციატივებში.

დიაგრამა 2. წამყვანი პარტნიორი უნივერსიტეტები



წყარო: Scopus: https://www.scopus.com/pages/organization/60268212#

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობის ინტენსივობა არაერთგვაროვანია პარტნიორ ინსტიტუციებს შორის. ასევე, ქართული ინსტიტუციების წილი თანამშრომლობით ქსელში 16 პარტნიორს შეადგენს. ეს კავშირები ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტი აქტიურ როლს ასრულებს ეროვნულ სამეცნიერო ეკოსისტემაშიც და არა მხოლოდ საერთაშორისო კონტექსტში. დანარჩენი 46 პარტნიორი ინსტიტუცია წარმოადგენს უცხოურ უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებს, რომლებიც გეოგრაფიულად მოიცავს ევროპას (საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ესტონეთი, ლუქსემბურგი), ჩრდილოეთ ამერიკას (აშშ, კანადა), აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში (უკრაინა, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ჰონგ კონგი, ჩინეთი).

ცალკე აღსანიშნავია თანამშრომლობის სტრუქტურული მახასიათებელი — 62 პარტნიორიდან 47-ს (დაახლოებით 76%-ს) EEU-სთან მხოლოდ ერთი ერთობლივი სამეცნიერო აქტივობა აქვს. ეს გარემოება მიუთითებს, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლობითი კავშირების უმეტესობა ჯერჯერობით ერთჯერადი ან ეპიზოდური ხასიათისაა, ვიდრე სისტემურად განმტკიცებული პარტნიორობა. ეს არა მხოლოდ არსებული ქსელის ფართო მასშტაბის დამადასტურებელია, არამედ მიანიშნებს პოტენციურ განვითარების მიმართულებაზეც — კერძოდ, არსებული ერთჯერადი კავშირების თანმიმდევრულ პარტნიორობად გარდაქმნის აუცილებლობაზე, რაც შესაძლოა გახდეს უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევითი პროფილის შემდგომი გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული ამოცანა.

თანამშრომლობის არსებული სურათი აჩვენებს უნივერსიტეტს, როგორც ინსტიტუციას, რომელსაც ჩამოყალიბებული აქვს ფართო და გეოგრაფიულად მრავალფეროვანი აკადემიური ქსელი, ხოლო რამდენიმე გამორჩეული პარტნიორობა (იხ. დიაგრანა 2) ემსახურება როგორც მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ღრმა და მდგრადი კვლევითი პარტნიორობა დროთა განმავლობაში.

დიაგრამა 2. საერთაშორისო თანამშრომლობა ქვეყნების მიხედვით



13
პარტნიორი ქვეყანა

33
ერთობლივი პუბლიკაცია

36%
გერმანია + უკრაინა წილი

წყარო: Scopus: https://www.scopus.com/pages/organization/60268212#



განსაკუთრებით თვალშისაცემია, რომ სუნივერსიტეტის მთლიანი სამეცნიერო პროდუქტიულობის ზრდა ბოლო სამი წლის განმავლობაში — 520-დან გაზრდილია 737-მდე, რაც აშკარად აჩვენებს კვლევითი პროდუქტიულობის მზარდ ტენდენციას. ასოცირებული პროფესორები გახდნენ ყველაზე პროდუქტიული რგოლი. ეს ნიშნავს, რომ აკადემიური კარიერის შუალედურ საფეხურზე მყოფი პედაგოგები აქტიურად აწარმოებენ კვლევებს. პროფესორების სამეცნიერო აქტივობაც სტაბილურად და თანმიმდევრულად იზრდება — 156-დან 221-მდე, კლება კი არ არის არცერთ წელს, რაც აჩვენებს მდგრად ზრდას აკადემიურ რგოლში. დამატებით აღსანიშნავია, ემერიტუსი პროფესორების ჩართულობა სამეცნიერო საქმიანობაში (26-დან 37-მდე) დადებითი სიგნალია, რომ საპატიო სტატუსის მქონე გამოცდილი პედაგოგები აგრძელებენ აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას, რაც ინსტიტუციური

სამეცნიერო პოტენციალის განვითარებას უწყობს ხელს.

დიაგრამა 3. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა აკადემიური თანამდებობების მიხედვით



520
სულ საქმიანობა — 2023

526
სულ საქმიანობა — 2024

736
სულ საქმიანობა — 2025

წყარო: EEU-ს შიდა მონაცემთა ბაზა

აღსანიშნავია, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების გამარჯვება ეროვნულ საგრანტო კონკურსებში. კერძოდ, 2022-2025 წლებში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსებში აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის 9 პროექტმა გაიმარჯვა: 2 ფუნდამენტური კვლევა, 4 დოქტორანტთა კვლევითი პროექტი და 3 მაგისტრანტთა კვლევითი პროექტი. ამ პროექტების ფარგლებში უნივერსიტეტმა სულ 550,000 ლარის ოდენობის საგრანტო დაფინანსება მოიზიდა, რაც ადასტურებს მისი კვლევითი პერსონალის, განსაკუთრებით ახალგაზრდა მეცნიერების (დოქტორანტების და მაგისტრანტების), აქტიურ ჩართულობას ეროვნულ სამეცნიერო კონკურსებში.

2022-2025 წლებში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსებში გამარჯვებული პროექტები

2
ფუნდამენტური კვლევები

4
დოქტორანტების კვლევითი გრანტი

3
მაგისტრანტთა კვლევითი გრანტი

9 გამარჯვებული პროექტი

550,000 ₾ მოზიდული ფინანსური რესურსი

წყარო: EEU-ს შიდა მონაცემთა ბაზა

მდგრადი განვითარების მიზნები (SDG) კვლევებში

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობა სრულად თავსებადია გაეროს მდგრადი განვითარების **მიზნებთან და პასუხობს მიმდინარე ტენდენციებს**. საერთო ჯამში **47 სამეცნიერო აქტივობის** განხორციელებით (ერთი აქტივობა შესაძლოა რამდენიმე მიზანს მიემართებოდეს). ყველაზე მეტად წარმოდგენილია **მიზანი 4 (ხარისხიანი განათლება)**, **მიზანი 8 (ღირსეული შრომა და ეკონომიკური ზრდა)** და **მიზანი 10 (უთანასწორობის შემცირება)** — თითოეული მიზანი განხორციელებულია 8 სამეცნიერო აქტივობით. მათ მოსდევს **მიზანი 17 (პარტნიორობა)** 7 აქტივობით, ხოლო **მიზანი 3, 5 და 9** — თითოეული 4 აქტივობით ყველაზე ნაკლებად წარმოდგენილია **მიზანი 12** (3 აქტივობით) და **მიზანი 16** (მხოლოდ 1 აქტივობით)
ეს აჩვენებს, რომ უნივერსიტეტის კვლევითი პროფილი ძლიერად არის ორიენტირებული საგანმანათლებლო, ეკონომიკურ და სოციალურ თანასწორობის თემებზე.

გამოსახულება 2. მდგრადი განვითარების მიზნები (SDG) კვლევებში

წყარო: Scopus: https://www.scopus.com/pages/organization/60268212#

ამგვარად, წარმოდგენილი მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა ბოლო ხუთწლიან პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა როგორც კვლევითი პროდუქტიულობის ზრდის, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით, რაც მყარ საფუძველს ქმნის მომავალში კვლევითი ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და საერთაშორისო რეპუტაციის შემდგომი განვითარებისთვის. ამ მხრივ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტმა უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ფარგლებში შეიმუშავა სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმავდროულად, უნივერსიტეტმა აქტიურად განაგრძობს მასშტაბური ინვესტირების პროცესს **კვლევითი ინფრასტრუქტურის გაძლიერების მიმართულებით.**

2024 წელს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის კამპუსში გახსნა **კვლევითი ცენტრი (C Block)** შენობაში განთავსდა 6 კვლევითი ცენტრი, მათ შორის, ფუნქციონირებს ფსიქოლოგიისა და ნეირო-

მეცნიერებების კვლევითი **ცენტრი „ლაბორატორია Z”**, რომელიც შექმნისთანავე აღიჭურვა მაღალ-ტექნოლოგიური ქცევისა და ნეირო-მარკეტინგის შემსწავლელი აპარატურით. კერძოდ, ლაბორატორიაში განთავსებულია თვალის მოძრაობის დეტექტორი, თვალის მოძრაობის დეტექტორის სათვალე და პოლიგრაფი. ცენტრის მიზანია, ფსიქოლოგიური და ბიომეტრული ინსტრუმენტების გამოყენებით, სხვადასხვა ტიპის ანალიტიკური და სამეცნიერო სამუშაოების ჩატარება, კვლევების გამოყენება ფსიქოლოგიური, კულტურული, ქცევითი და საგანმანათლებლო პროცესების შესასწავლად, სამეცნიერო პრაქტიკის განათლებაში გამოყენება და ახალი თაობის მეცნიერების აღზრდა.

ამავე შენობაში მოწყობილია **არქიტექტურის საპროექტო-კვლევითი ბიუროს** ლაბორატორია, სადაც განთავსებულია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით (არქიტექტურული პროგრამებით) აღჭურვილობით. ბიურო წარმოადგენს როგორც რეალური სასწავლო-მეთოდურ და საწარმო ბაზას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი მომზადების სივრცეს.

კვლევით ცენტრში ფუნქციონირებს **„მრავალფუნქციური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი”,** ცენტრი მოიცავს ბიზნეს აქსელერატორის მოდელს, ბიზნესის პრობლემათა პლატფორმასა და მასთან ინტეგრირებულ საკომუნიკაციო-საინფორმაციო ქსელს. მრავალფუნქციური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ტექნიკური გაძლიერების ფარგლებში, უნივერსიტეტმა უზრუნველყო უახლესი საკომუნიკაციო და აუდიო-ვიდეო ტექნოლოგიების შეძენა, კერძოდ შეძენილია: **Expansion Speaker Phone** – პროფესიონალური საკომუნიკაციო მოწყობილობა, უახლესი 360° მოძრავი კამერა (PTC310UV2) რომელიც ფოკუსირებას აკეთებს პრეზენტატორზე და მულტიმედიური აუდიო-ვიდეო სიგნალების გამაძლიერებელი სისტემა (AW315). აღნიშნული აღჭურვილობა უზრუნველყოფს კვლევების, კონფერენციებისა და პრეზენტაციების თანამედროვე დონეზე წარმართვას, რაც სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიას ინოვაციური და ტექნოლოგიურად განვითარებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნის მიმართულებით.

ამავე შენობაში ფუნქციონირებს „**სახელმწიფოსა და სამართლის“, „ინტერდისციპლინური კვლევების“** და **„ფიზიკური, მენტალური და სოციალური კეთილდღეობის“ სამეცნიერო კვლევითი** ცენტრები;

აღსანიშნავია დაგეგმილი მსხვილმაშტაბიანი პროექტები, განსაკუთრებით, მედიცინის მიმართულებით კვლევითი ინფრასტრუქტურის გაძლიერება, კერძოდ, პროექტი დამტკიცებულია საუნივერსიტეტო კლინიკის ,,ღია გული საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი'' ბაზაზე 930 კვ.მ შენობა-ნაგებობის მოწყობა, სადაც ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის განთავსდა საერთაშორისო სტანდარტებით მოწყობილი კლინიკური კვლევებისა და სამედიცინო სწავლებისთვის საჭირო თანამედროვე სივრცე - **„კლინიკური უნარების ცენტრი“.**

ცენტრი მოიცავს მიკრობიოლოგიის, ქიმიისა და ბიოქიმიის, ჰისტოლოგიისა და უჯრედული ბიოლოგიის ლაბორატორიებს და აღჭურვილია შესაბამისი უახლესი თაობის ლაბორატორიული და კვლევითი ტექნიკით, აპარატურით, ინვენტარით, სწავლებისა და კვლევებისათვის საჭირო მასალებით. ამავე დროს, შესაბამისად გაიზრდება მკვლევარების რაოდენობა ცენტრის ლაბორატორიებში .

7. SWOT ანალიზი

სამეცნიერო-კვლევითი გარემოს SWOT ანალიზი შემუშავდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის როგორც სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალისა და სამეცნიერო აქტივობების შეფასებების საფუძველზე.

ძლიერი მხარე	გასაუმჯობესებელი მხარე
კვალიფიციური სამეცნიერო-აკადემიური პერსონალი და მრავალდარგოვანი ფაკულტეტების ქსელი	საერთაშორისო სამეცნიერო პარტნიორული კავშირები და ერთობლივ პროექტების რაოდენობების ზრდა
აკადემიური თავისუფლება და მეცნიერული საქმიანობის მხარდაჭერის კულტურა	სამეცნიერო მიმართულებით საერთაშორისო ცნობადობის დონის ამაღლება
სამეცნიერო ღონისძიებების (კონფერენციები, სემინარები, ვორქშოპები) ორგანიზების გამოცდილება	სამეცნიერო კადრების გადატვირთულობა პედაგოგიური და ადმინისტრაციული ვალდებულებებით
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის არსებობა	კვლევების კომერციალიზაცია
საერთაშორისო პარტნიორთა მზარდი მაჩვენებელი	საერთაშორისო კვლევით საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მაჩვენებელი
ციფრული ინფრასტრუქტურისა და საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზებთან წვდომა.	ბიზნეს-სექტორთან და ინდუსტრიასთან თანამშრომლობა
ეროვნული დაფინანსების პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება.	EEU-ს ჟურნალის საერთაშორისო ცნობადობა
ახალგაზრდა მკვლევართა, დოქტორანტების და მაგისტრების მხარდაჭერა/მოტივაცია	მაღალ (რეიტინგულ) იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში პუბლიკაციათა რაოდენობა და დაბალი ციტირება
სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა	საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების მაჩვენებელი
კვლევითი ინფრასტრუქტურა	
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების გლობალური ტრენდი	დაფინანსების შემცირება სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე
საერთაშორისო საგრანტო პროგრამების (Horizon Europe, Erasmus+ და სხვ.) შეთავაზების გაზრდა	გაზრდილი კონკურენცია საერთაშორისო საგრანტო განაცხადებში
სამეცნიერო-კვლევით სფეროში საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ქსელის გაფართოება	კვალიფიციური მეცნიერების მოზიდვისა და შენარჩუნების სირთულეები
სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გაერთიანება ერთიან პლატფორმაზე	საკანონმდებლო ცვლილებები უმაღლესი განათლების სფეროში, რომლებიც შესაძლოა არ ითვალისწინებდეს მცირე/ახალი უნივერსიტეტების სპეციფიკას
მკვლევართა მობილობის და ტრენინგის პროგრამების გაფართოება სხვა ეროვნულ/საერთაშორისო ინსტიტუტებთან	გლობალური ეკონომიკური არასტაბილურობა და მისი გავლენა კვლევით დაფინანსებაზე
მაღალკვალიფიციური საერთაშორისო პერსონალის ხელმისაწვდომობა	
საერთაშორისო რეიტინგებში მონაწილეობა და პოზიციების გაუმჯობესება	

8. კვლევების განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები და სტრუქტურა

უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული მისიითა და დასახული მიზნების რეალიზებით აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ორიენტირებულია მაღალი ხარისხის კვლევების განხორციელებაზე ინდივიდუალურ, დისციპლინარულ და ინტერდისციპლინური კონტექსტებში. უნივერსიტეტი, ასევე ესწრაფვის, დაიცვას ბალანსი ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს შორის და ორივე მიმართულებით კვლევა საზოგადოების საკეთილდღეოდ აწარმოოს.

2026-2030 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია ორიენტირებულია **ოთხ სტრატეგიულ პრიორიტეტზე:**

- **კვლევები** დაფუძნებული უნდა იყოს უნივერსიტეტის სამეცნიერო პრიორიტეტებზე, ხორციელდებოდეს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების მიმართულებით როგორც ინდივიდუალურ, ასევე დისციპლინურ და ინტერდისციპლინური კვლევით კონტექსტში.
- **კვალიფიციური სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა,** შენარჩუნება და სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირება კვლევითი კულტურის განვითარებისა და დანერგვის მიზნით, რაც, თავის მხრივ, აფართოებს ჩვენს კვლევით შესაძლებლობებსა და კვლევების ხარისხს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.
- **კვლევების მართვის ეფექტიანი სისტემის** განვითარება**,** რომელიც ორიენტირებული არის ანგარიშვალდებულების, კონტროლის, მხარდაჭერის ღია და გამჭვირვალე მექანიზმების დანერგვაზე.
- **კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება**[1] მოიცავს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების/ლაბორატორიების აღჭურვას, საბიბლიოთეკო რესურსებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების განვითარებას, თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფას და ა.შ. რაც შეესაბამება ჩვენს სწრაფვას - შევუქმნათ მკვლევრებს საუკეთესო გარემო.

[1] კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანები სრულად განხილულია უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სტრატეგიულ გეგმაში.

კვლევითი გეგმის სტრუქტურა

ამოცანები	კვლევები	კვალიფიციური სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა	კვლევების მართვის ეფექტიანი სისტემის
1. სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლება	☒		
2. საერთაშორისო ცნობადობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება	☒	☒	
3. კვლევითი შედეგების კომერციალიზაციის უნარების განვითარება			☒
4. სამეცნიერო კვლევების ინტეგრირება სასწავლო პროცესში			☒
5. სტუდენტების სამეცნიერო პოტენციალის გაზრდა	☒	☒	
6. ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა	☒		
7. აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის/ პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება			☒

9. სტრატეგიული ამოცანები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი **საქმიანობის სტრატეგიული მიზნების** მისაღწევად 2026-2032 წლებში განისაზღვრა შემდეგი ამოცანები, აქტივობები და შესრულების ინდიკატორები:

ამოცანა 1. სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლება

ინდიკატორები:

- Scopus/Web of Science-ში ინდექსირებული პუბლიკაციების რაოდენობა
- ციტირების ინდექსი (h-index)
- Q1/Q2 ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა
- საერთაშორისო თანაავტორობით გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა
- დაფინანსებული შიდა გრანტების რაოდენობა წელიწადში
- ჩატარებული ტრენინგების/კონსულტაციების რაოდენობა

აქტივობა	პასუხიმგებელი და ჩართული	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
შიდა კვლევითი საგრანტო მექანიზმის გაძლიერება კვლევითი პროექტებისთვის	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი		☐	☐	☐			
მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციის მიზნით ტრენინგების ჩატარება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • განათლების დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
კვლევის მეთოდოლოგიის და სამეცნიერო ბაზების ტრენინგები/კონსულტაციები პერსონალისთვის	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • კვლევითი ცენტრები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
სამეცნიერო ჟურნალებთან / გამომცემლობებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
პუბლიკაციისთვის ფინანსური წახალისების სისტემის გაუმჯობესება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი		☐		☐		☐	
სამეცნიერო პერსონალის ბირთვის შექმნა, რომლის კვლევითი დატვირთვა იქნება არანაკლე 60/40 მოდელი	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი		☐	☐	☐	☐	☐	☐
მონაცემთა სტატისტიკური ანალიზით მხარდაჭერა	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი		☐	☐	☐	☐	☐	☐

ამოცანა 2. საერთაშორისო ცნობადობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება

ინდიკარორები:

- გაფორმებული საერთაშორისო თანამშრომლობის მემორანდუმების რაოდენობა
- ერთობლივი საერთაშორისო საგრანტო პროექტების რაოდენობა (Horizon Europe, Erasmus+, DAAD და სხვ.)
- შემომავალი/გამავალი მკვლევართა მობილობის რაოდენობა
- ერთობლივი სადოქტორო პროგრამების/თანახელმძღვანელობის შეთანხმებების რაოდენობა
- უნივერსიტეტის პოზიცია საერთაშორისო რეიტინგებში (QS, THE)
- Open Access პუბლიკაციების წილი
- ORCID/Scopus Author ID/Google Scholar პროფილების დასრულების % პერსონალში
- უნივერსიტეტის ჟურნალის ინდექსირება ERIH PLUS-ში

აქტივობა	პასუხიმგებელი და ჩართული	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
გრანტების მოძიებისა და საერთაშორისო პროექტების მომზადების ტრენინგები	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • განათლების დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
უცხოურ უნივერსიტეტებთან/კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ჰორიზონტის საქართველოს თანამშრომლობის გაძლიერება და მუდმივი აქტივობა	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ერთობლივი კვლევითი პროექტების ინიცირება საერთაშორისო საგრანტო პროგრამებში (Horizon Europe, Erasmus+, DAAD)	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
მკვლევართა მობილობის პროგრამის (visiting researcher/scholar) ჩამოყალიბება/გაძლიერება;	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
სადოქტორო პროგრამებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებაზე აქტიური მუშაობა	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ORCID/Scopus Author ID/Google Scholar პროფილების სტანდარტიზაცია პერსონალისთვის	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
კვლევითი შედეგების პოპულარიზაცია მედიასა და სოციალურ ქსელებში	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების/სიმპოზიუმების/ვორკშო	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

პების და აქტივობების ორგანიზება	დეპარტამენტი • ფაკულტეტები							
საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგებში (QS, THE და სხვა) მონაწილეობისთვის უნივერსიტეტის გაძლიერება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐			
უნივერსიტეტის ჟურნალის მაღალრეიტინგულ საერთაშრისო სამეცნიერო ბაზაში (ERIH PLUS, ან Scopus და სხვა) ინდექსირება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი		☐	☐				
კვლევების ვებ-პლატფორმის გაუმჯობესება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	

ამოცანა 3. კვლევითი შედეგების კომერციალიზაცია

ინდიკატორები:

- ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებების რაოდენობა
- კომერციალიზაციის უნარებში მომზადებული პერსონალის რაოდენობა
- ინდუსტრიიდან მოზიდული დაფინანსების მოცულობა/წილი

აქტივობა	პასუხიმგებელი	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
გამოყენებითი კვლევების მხარდამჭერი მექანიზმის განვითარება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐	☐	☐				
თანამშრომლობის განვითარება დაინტერესებულ ეკონომიკურ აგენტებთან	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები		☐	☐	☐	☐	☐	☐
კომერციალიზაციის საკითხებში პროფესიული უნარების ტრენინგები საერთაშრისო სპეციალისტების მოწვევით	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • განათლების დეპარტამენტი		☐	☐	☐	☐	☐	☐
გამოყენებითი კვლევებისთვის მხარდამჭერი ცენტრების მხარდაჭერა გაძლიერება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

ამოცანა 4. სამეცნიერო კვლევების ინტეგრირება სასწავლო პროცესში

ინდიკარორები:

- განახლებული სილაბუსები (კვლევის უახლესი მიღწევების ასახვით)
- ახალი კვლევითი კომპონენტის მქონე კურსების/მოდულების რაოდენობა
- სტუდენტური კვლევითი გრანტების რაოდენობა
- ინსტიტუციურ პროექტებთან დაკავშირებული სადიპლომო/სამაგისტრო ნაშრომები
- სტუდენტთა თანაავტორობით გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა

აქტივობა	პასუხიმგებელი	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
კვლევის შედეგების ასახვა სასწავლო კურსების სილაბუსებში	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	ს	☐	☐	☐	☐	☐	☐
კვლევითი კომპონენტის მქონე საგნების შემოღება საბაკალავრო საფეხურზე	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები		☐	☐				
ინტერდისციპლინური კურსების შემუშავება მიმდინარე კვლევით პროექტებზე დაყრდნობით	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი		☐	☐		☐	☐	
სტუდენტური კვლევითი საგრანტო პროექტების მომზადების პოპულარიზაცია და სტუდენტების წახალისება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
სტუდენტების ჩართვა კვლევით ჯგუფებში/ლაბორატორიებში (research assistantship)	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები • კვლევითი ცენტრები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
საბაკალავრო/სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომების დაკავშირება ინსტიტუციურ კვლევით პროექტებთან	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
სტუდენტების წახალისება ერთობლივ პუბლიკაციებში თანაავტორობისთვის	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდების სისტემური განვითარება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ტრენინგები პედაგოგებისთვის კვლევის სწავლებაში ინტეგრირების მეთოდებზე	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
პედაგოგებისთვის წამახალისებელი მექანიზმების შემუშავება კვლევა-სწავლების ინტეგრაციის მიზნით	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი ფაკულტეტები		☐					

ინდიკატორების და გამოკითხვების სისტემის დანერგვა ინტეგრაციის ეფექტურობის შესაფასებლად	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

ამოცანა 5. სტუდენტების სამეცნიერო პოტენციალის გაზრდა

ინდიკატორები:

- კვლევით საქმიანობაში ჩართული სტუდენტების %
- სტუდენტთა თანაავტორობით პუბლიკაციების რაოდენობა
- ორგანიზებული სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების/კონკურსების რაოდენობა
- სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების/კონკურსებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა
- სტუდენტური კვლევითი გრანტების ბენეფიციართა რაოდენობა
- საერთაშორისო კონფერენციებში დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა
- სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი (გამოკითხვები)

აქტივობები	პასუხიმგებელი	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
სტუდენტებისთვის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის, კვლევის მეთოდების გამოყენების ხერხების (ლიტერატურის ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, კითხვარის მომზადება და ადმინისტრირება) სტატიების მომზადების, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებში მუშაობისთვის აუცილებელი უნარების დახვეწის მიზნით ტრენინგების ჩატარება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • განათლების დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
სტატისტიკური ინსტრუმენტების (SPSS, R, Python) ტრენინგების ჩატარება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • განათლების დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის ტრენინგების ჩატარება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • განათლების დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
სტუდენტური სამეცნიერო საზოგადოების/კლუბების შექმნისა და გაძლიერების მხარდაჭერა	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები • განათლების დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
სტუდენტური კვლევითი მცირე გრანტების პროგრამის პოპულარიზაცია და წახალისება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ყოველწლიური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის/ნაშრომების კონკურსის ორგანიზება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

	დეპარტამენტი • ფაკულტეტები							
PhD სემინარების/ვორქშოფების მუდმივმოქმედი ციკლის მხარდაჭერის გაგრძელება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების მექანიზმის შემუშავება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი		☐					
წარმატებული სტუდენტი-მკვლევარების ისტორიების გაშუქება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები • მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ბაკალავრიატიდან სადოქტორო პროგრამამდე კვლევითი ტრაექტორიის მექანიზმების შემუშავება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი		☐					
სტუდენტთა ნაშრომების პოპულარიზაციის განვითარება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ჯგუფური და ინტერდისციპლინური სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი აქტიურობების წახალისება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

ამოცანა 6. ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა

ინდიკატორები:

- ინტერდისციპლინური კვლევითი პროექტების რაოდენობა
- ერთობლივი (ფაკულტეტთაშორისი) პუბლიკაციების რაოდენობა
- დაფინანსებული შიდა "seed grants"-ის რაოდენობა
- ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა

აქტივობები	პასუხიმგებელი	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
ინტერდისციპლინური კვლევების განვითარების მექანიზმის შემუშავება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐						
ინტერდისციპლინური კვლევითი ჯგუფების ფორმირების ხელშემწყობი პლატფორმის შექმნა	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • საფინანსო დეპარტამენტი	☐						
ინტერდისციპლინური კვლევების პრიორიტეტულობის ასახვა დაფინანსების პოლიტიკაში	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • საფინანსო დეპარტამენტი	☐						
პრიორიტეტული ინტერდისციპლინური მიმართულებების იდენტიფიცირება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	☐						
რეგულარული ინტერდისციპლინური სემინარების/ვორქშოფების ორგანიზება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • განათლების დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
საერთაშორისო ინტერდისციპლინურ კონსორციუმებში გაწევრიანება	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი		☐	☐				

კვლევითი ინტერდისციპლინური გრანტების მოპოვების მიზნით აკადემიურ პერსონალთან საინფორმაციო შეხვედრები	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარების მიზნით საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა	• სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი • საერთაშორისო ურთიერთბების დეპარტამენტი • ფაკულტეტები	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

ამოცანა 7. აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის/პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება

ინდიკატორები:

- სამეცნიერო პროდუქტიულობის ყოველწლიური ანგარიში
- მკვლევრების კმაყოფილების ინდექსი
- სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ანალიტიკური მექანიზმის გაციფრულებული სისტემა

აქტივობები	პასუხიმგებელი	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროში უნივერსიტეტში არსებული მატერიალური და აკადემიური პერსონალის რესურსების ყოველწლიური შეფასება	• სამეცნიერო კვლევების და განვითარების დეპარტამენტი • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
მკვლევრების კმაყოფილების მუდმივი მონიტორინგი მოტივაციის შენარჩუნებისა და სამუშაო ეფექტიანობის ამაღლების მიზნით	• სამეცნიერო კვლევების და განვითარების დეპარტამენტი • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐
კვლევითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო- კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემის გაუმჯობესება-გაციფრულება	• სამეცნიერო კვლევების და განვითარების დეპარტამენტი • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური • ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის დეპარტამენტი		☐	☐				
სამეცნიერო კვლევითი პოტენციალის შეფასება	• სამეცნიერო კვლევების და განვითარების დეპარტამენტი • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	☐	☐	☐	☐	☐	☐	☐

9. სამეცნიერო კვლევების სამიზნე ნიშნულები (KPI)

სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიით განხორციელების შედეგების შესაფასებლად უნივერსიტეტმა დაადგინა სამეცნიერო კვლევების სამიზნე ნიშნულები.

№	ინდიკატორები	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნულები							
		2021-2025	2026	2027	2028	2029	2030	2031	2032	2025-2032
1	საერთაშორისო რეფერირებად, რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში, სამეცნიერო კონფერენციის სრულ მოხსენებათა კრებულებში (proceedings) გამოქვეყნებული შრომები	252	270	290	310	330	350	370	390	138
2	მონოგრაფია, სახელმძღვანელო, წიგნი	65	70	75	80	85	90	95	100	35
3	თარგმანი	17	19	21	23	25	27	29	31	14
4	ადგილობრივ სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების რაოდენობა	25	25	30	35	40	45	50	55	30
5	საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა	14	17	20	23	26	29	32	35	11
6	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობა	196	206	216	226	236	246	256	266	70
7	Google scholar ციტირება (i10-index)	279	300	315	330	340	355	370	385	400
8	Google scholar ციტირება (h)	308	330	350	370	390	410	430	450	470
9	Google scholar ციტირების რაოდენობა	12983	1300	13130	13261	13393	13527	13663	13799	13997
11	Scopus-ში ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა (წყარო: სკოპუსის ბაზა)	81	91	101	111	121	131	141	151	70
12	ჩატარებული ტრენინგების/კონსულტაციების რაოდენობა	135	155	175	195	215	235	255	275	140
13	სტუდენტთა თანაავტორობით გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა	35	50	65	80	95	110	125	140	105
14	სტუდენტური კვლევითი გრანტების რაოდენობა	10	15	20	25	30	35	40	45	35
15	საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა	15	25	35	45	55	65	75	85	70

16	საერთაშორისო თანაავტორობით გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა (წყარო: სკოპუსის ბაზა)	8	43	53	63	73	83	93	103	70